




პლაგიატი, მისი ფორმები, პრევენციის საშუალებები და სანქციები

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის კრების ოქმით)



დოკუმენტის დანიშნულება

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პლაგიატის არსს, მისი პრევენციის და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, რეაგირების მექანიზმებს. დოკუმენტი ეხება ალტე უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს.

პლაგიატის განმარტება

პლაგიატი წარმოადგენს სხვისი ინტელექტუალური საკუთრების არაკეთილსინდისიერი გზით მითვისებას ავტორის ვინაობის მითითების გარეშე. ინტელექტუალურ საკუთრებად განიხილება: მოსაზრება (ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი სახის), ვიზუალური ან აუდიო მასალა.

პლაგიატის ფორმები

ძირითადად, არსებობს პლაგიატის ექვსი ფორმა:

1. **პირდაპირი პლაგიატი** - როდესაც ხდება სხვისი იდეის კოპირება ავტორის მითითების გარეშე;
2. **წყაროზე დაფუძნებული პლაგიატი** - მითითებების რაოდენობის გაზრდის მიზნით, არასწორ ან არარსებულ წყაროზე მითითება ან მეორადი წყაროს გამოყენებისას, მხოლოდ პირველადი წყაროს მითითება;
3. **თვითპლაგიატი** - მოიაზრებს ავტორის ძველი ნამუშევრის ახლად წარმოჩენას;
4. **მოზაიკური პლაგიატი** - სხვადასხვა ავტორის მასალებით შექმნილი ნაშრომი, რომელიც არ შეიცავს დამოუკიდებელი კვლევის კომპონენტს. მოზაიკური პლაგიატის დროს, შესაძლებელია ნაშრომის ბოლოს მითითებული იყოს ავტორის/ავტორების ვინაობა, მაგრამ ტექსტის ანალიზისას შეუძლებელია იმისი დადგენა, რომელია ავტორის მოსაზრება და რომელია ციტირება ან პერიფრაზი;
5. **პერიფრაზირებული პლაგიატი** - პლაგიატის ყველაზე რთულად დასადგენი ფორმა, როდესაც ხდება ორიგინალი ნაშრომის სინონიმებით შეცვლა.
6. **უნებლიე პლაგიატი** - ასეთ დროს, შესაძლოა, პირს არ ჰქონდეს გამიზნული სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება, მაგრამ

დაუდევრობის ან არასაკმარისი ინფორმაციის გამო, არასწორად მოხდეს ციტირების სტანდარტების დაუცველობა.

პლაგიატის პრევენციის პოლიტიკა

ალტე უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი აკადემიური კეთილსინდისიერების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ადმინისტრაციული, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისთვის გეგმავს შემდეგ ღონისძიებებს:

1. ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, წერილობით სახით უგზავნის ინფორმაციას პლაგიატის არსის, მისი პრევენციის და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, ალტე უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სანქციების შესახებ;
2. სტუდენტებს დეტალურ ინფორმაციას აწვდის აკადემიური კეთილსინდისიერების და აკადემიური წერის პრინციპების შესახებ;
3. იყენებს პლაგიატის აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამას, რომლის მეშვეობითაც ხდება ტექსტების შედარება და პლაგიატის შემთხვევების გამოვლენა.
4. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.alte.edu.ge) აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას პლაგიატზე უნივერსიტეტის დეკლარირებული პოლიტიკის შესახებ.

პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

სტუდენტების შემთხვევაში, პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები ეხება წერით დავალებებს (სადაც ეჭვი გაჩნდება), საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს, ასევე, სხვადასხვა აკადემიურ გამოცემაში გამოსაქვეყნებელ მასალას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის დადგენა ხდება შესაბამისი პლაგიატის პროგრამის მეშვეობით, რაც, ერთის მხრივ, ტექსტებს ადარებს ერთმანეთს, მეორე მხრივ კი, ამოწმებს ავტორობის ნამდვილობას.

პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალი, შემდგომი რეაგირების მიზნით, წერილობით საქმის კურსში აყენებს სკოლის დეკანს და ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორს

სანქციები

პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, მოქმედებს შემდეგი სანქციები:

1. პლაგიატის პირველ ჯერზე დაფიქსირების შემთხვევაში, საგნის ლექტორი ან სამეცნიერო ხელმძღვანელი სტუდენტს აძლევს სიტყვიერ გაფრთხილებას, განუმარტავს დარღვევის არსს და სიმძიმეს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს განესაზღვრება გონივრული ვადა (არაუმეტეს 10 კალენდარული დღის) დარღვევის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, რედაქტირებული ნაშრომის არწარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტი ფასდება 0 ქულით.
2. პლაგიატის განმეორების შემთხვევაში, საგნის ლექტორი ან სამეცნიერო ხელმძღვანელი სტუდენტს აძლევს წერილობით გაფრთხილებას, განუმარტავს დარღვევის არსს და სიმძიმეს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს განესაზღვრება გონივრული ვადა (არაუმეტეს 10 კალენდარული დღის) დარღვევის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, რედაქტირებული ნაშრომის არ წარმოდგენის შემთხვევაში, სტუდენტი ფასდება 0 ქულით.
3. პლაგიატის მესამედ დაფიქსირების შემთხვევაში, საგნის ლექტორი ან სამეცნიერო ხელმძღვანელი სტუდენტს განუმარტავს დარღვევის არსს და სიმძიმეს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

სანქციების დაწესების კრიტერიუმები

1. **მსუბუქ აკადემიურ გადაცდომად** ითვლება წყაროს არასრულად ან აკადემიური სტანდარტების დარღვევით მითითება. მსუბუქი აკადემიური გადაცდომის შემთხვევაში, პირველ ჯერზე, სტუდენტს ეძლევა სიტყვიერი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - წერილობითი გაფრთხილება, ხოლო მესამე შემთხვევაში - სტუდენტის სტატუსი უწყდება.
2. **საშუალო აკადემიურ გადაცდომად** ითვლება ნაშრომის არაუმეტეს 15% მოცულობის მასალის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე ან ნაშრომის არაუმეტეს 20% მოცულობის მასალის პერიფრაზირება წყაროს მითითების გარეშე. საშუალო აკადემიური გადაცდომის შემთხვევაში, პირველ ჯერზე, სტუდენტს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - სტუდენტის სტატუსი უწყდება.
3. **უხეშ აკადემიურ გადაცდომად** ითვლება მოპარული, ნაყიდი ან სხვადასხვა არხიდან გადმოწერილი სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება, მონაცემების/კვლევის შედეგების გაყალბება ან ნაშრომის

მოცულობის 20%-ზე მეტი ინფორმაციის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე. უხეში აკადემიური გადაცდომის შემთხვევაში, სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულ საკითხს განიხილავს ეთიკის საბჭო სტუდენტის თანამონაწილეობით.

პლაგიატის თავიდან არიდების მექანიზმები

პლაგიატის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია:

1. გამოყენებული მასალის ზუსტი წყაროს მითითება აკადემიური წერის სტანდარტების დაცვით;
2. აქსიომებს, საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს, მეცნიერების ამა თუ იმ დარგში აღიარებულ დებულებებს მითითება არ სჭირდება, შესაბამისად, არ ითვლება პლაგიატად.